ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 116

ქ. თბილისი 05.04.2021 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ტაინა", წარმოდგენილი მისი დირექტორის, ვასილი გეთიაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT210003283** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება;
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია: დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლოს სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. (CPV-45400000).
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება და აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 42`000 (ორმოცდაორი ათასი) ლარს.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - კობა სეფაშვილი , ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომელი(ები) .
5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშოების მიღება-ჩაბარება წარმოებს სამუშაოების დასრულების შემდგომ ორმხრივად ხელმოწერილი ფორმა #2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების შემთხვევაში - ექსპერტიზის დადებით დასკვნის გათვალისწინებით. ფორმა #2 წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებას და რომელიც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერილია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

6.2. მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ხელისმოწერით მოწმდება წარმოდგენილი ფორმა#2-ის/ების საფუძველზე და მათზე სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ფორმა #2(ების) მიხედვით შედგენილი (წარმოდგენილი) ექსპერტიზის დასკვნა გულისხმობს ფორმა #2(ების) კორექტირებას, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველს წარმოადგენს კორექტირებული ფორმა #2 (ები). ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობა და ჯეროვნება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ფორმა #2 შესაბამისად.

6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

7. სამუშაოების შესრულების პირობები და გარანტია

7.1 ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღე; თუ შესრულების ბოლო დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, შესრულება გადაიწევს პირველივე სამუშაო დღეზე.

7.2 დრო, რომელიც ესაჭიროება შემსყიდველს ექსპერტიზის განსახორციელებლად არ ჩაითლვება სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადებში (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). ამასთან ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის/შეუსრულებლობის დადგენის შემთხვევაში, ექსპერტიზის მიმდინარეობის ვადა მიეთვლება ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას და დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02% ოდენობით. ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, გამოსწორებულ ხარვეზზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი (ექსპერტიზა ჩატარებული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ). სამუშო გამოსწორებული უნდა იყოს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.3 სამუშაოების შესრულების ადგილი: დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლო - დედოფლისწყარო, კიკვიძის №2;

7.4 საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 3(სამი) წელს;

საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტი, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.5 სამუშაოები უნდა წარმოებდეს თანდართული დეფექტური აქტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით.

ა) სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრულად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

ბ) უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული წესების დაუცველობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

დ) სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ყოველდღიურად და სამუშაოების დასრულების შემდეგ ნარჩენების გატანას და ტერიტორიის დასუფთავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით.

ე) სარემონტო სამუშაოების საათები და პერიოდი (სამუშაო დღეებში-უქმე და დასვენების დღეების გარდა), შეთანხმდეს სასამართლოსთან.

ვ) მიმწოდებელმა სახურავის ხის კონსტრუქციის სპეციალური ხანძარსაწინააღდეგო სითხით დამუშავების შემდგომ, დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოს სერთიფიკატი (უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი), რომელშიც იქნება განსაზღვრული, გამოყენებული სითხის ხანძარმედეგობა არანაკლებ 3 წლის ვადით.

ზ)მიმწოდებელმა შენობაში უნდა უზრუნველყოს სამუშაო რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, უწყვეტი ელ.მომარაგების უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაციის პროცესში, სასამართლოს პერსონალთან კოორდინაციაში, ავეჯის და ინვენტარის გადაადგილების უზრუნველყოფა.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3. დაფინანსების წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;
8.4. შესრულებული სამუშაოების 80% მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა N2-ის მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
8.5 შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნის და მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. სამუშოების შესრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% ოდენობით, თითოეული დღისთვის. ვადის
10 კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს გაფრთხილებით და განუსაზღვრავს შესაბამის სამუშაოების დასრულებისთვის გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
12.4. ამ მუხლის 12.3. პირობის დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უკვე შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელება. უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.
12.5. თუ დაყოვნება ან ვადის გადაცილება არ არის დამოკიდებული მიმწოდებლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ან გამოწვეულია შემსყიდველის მიერ, პირგასამტეხლო არ გამოიყენება.
12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #6
ს/კ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:

შპს ,,ტაინა“
ს/კ 412700536
მის: ქ.ქუთაისი.ბუხაიძის ქ.II მ/რ N29 ბ 43
სს“თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ა: GE24TB7906936080100004

ვასილი გეთიაშვილი
დირექტორი

დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლო

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენ	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფას	ჯამი	ერთ.ფას	ჯამი	
	სასამართლო სამედიაციო სივრცის მოწყობა							
1	ღიობის გაგანიერება	კბმ	0.18			75.00	13.50	13.50
2	კარის ბლოკის დემონტაჟი დასაწყობებით	კვმ	3.20			2.50	8.00	8.00
3	ალუმინის კარების მოწყობა (სრული კომპლექტი თეთრი დაფერვით ფერადი სტიკერის მოწყობით შშმპ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებით) (ლოგოს **და ვიტრაჟის** ვიზუალი იხილეთ თანდარულ ფაილებში)	კვმ	4.24	270.00	1144.80	6.25	26.50	1171.30
4	გათბობის მილების ჩასმა იატაკში თანმდევი სამუშაოებით	გრმ	4.20	5.00	21.00	2.50	10.50	31.50
5	ლამინირებული იატაკის დემონტაჟი	კვმ	21.52			1.25	26.90	26.90
6	ლამინირებული იატაკის მოწყობა ა33 კლასის 12მმ სისქის პლინტუსების ჩათვლით	კვმ	21.52	24.00	516.48	6.25	134.50	650.98
7	ფერდოების ლესვა , შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ	კვმ	8.20	9.40	77.08	12.50	102.50	179.58
8	ღიობების მოჩარჩოება (კუთხოვანა 50-50-3მმ, ზოლოვან 50-3მმ)	კგ	215.45	2.70	581.72	1.25	269.31	851.03
9	ლითონის ელემენტების ღებვა ანტიკოროზიული საღებავით	კვმ	4.24	3.00	12.72	6.25	26.50	39.22
10	კედლების მოპირკეთება ორმაგი მერქან ბურბუშელოვანი პანელებით **პანელის ზედა კანტის ჩათვლით,** , სიმაღლით 90 სმ. გათბობის რადიატორებისა **და ფანჯრის რაფების** ჩათვლით. (ვიზუალი იხილეთ თანდართულ ფაილებში)	$მ^2$	24.74	37.00	915.38	12.50	309.25	1224.63
11	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	58.42	4.20	245.36	6.25	365.13	610.49
12	**პერფორირებული ალუმინის** ამსტრონგის ფილების მოწყობა ლითონის კარკასზე (ვიზუალი იხილეთ თანდართულ ფაილებში)	კვმ	21.52	34.00	731.68	12.50	269.00	1000.68
13	როზეტის მოწყობა	ც	6.00	5.50	33.00	12.50	75.00	108.00
14	ჩამრთველის მოწყობა	ც	2.00	5.50	11.00	12.50	25.00	36.00
15	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	4.00	70.00	280.00	15.00	60.00	340.00
16	კონდიციონერის მონტაჟი (კონდეციონერის მიწოდებას განხორციელებს შემსყიდველი)	კომპ	1.00			125.00	125.00	125.00
17	ელ.სადენის მოწყობა 3*4 სპილენძის ნალესში	გრძ	25	5.00	125.00	1.25	31.25	156.25
18	არსებული დაზიანებული სახანძრო სიგნალიზაციის პულტის დემონტაჟი დასაწყობებით	კომპ.	1.00			12.50	12.50	12.50
19	ელ.სადენის მოწყობა 3*2,5 სპილენძის ნალესში	გრძ	12	4.00	48.00	1.25	15.00	63.00

20	ინტერენეტ როზეტის მოწყობა თანმდევი სამუშაოებით და მასალებით და არსებულ ქსელზე დაერთბით	კომპ.	2.00	30.00	60.00	12.50	25.00	85.00
	სასამართლოს დერეფანი							
1	ამსტრონგის ნესტგამძლე ჭერის მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	22.73	12.00	272.76	6.25	142.06	414.82
2	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	6.00	70.00	420.00	15.00	90.00	510.00
3	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	71.64	4.20	300.89	6.25	447.75	748.64
	მოსამართლის ოთახი							
1	ამსტრონგის ნესტგამძლე ჭერის მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	26.40	12.00	316.80	6.25	165.00	481.80
2	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	4.00	70.00	280.00	15.00	60.00	340.00
3	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	59.98	4.20	251.92	6.25	374.88	626.79
4	ლამინირებული იატაკის დემონტაჟი	კვმ	26.40			1.25	33.00	33.00
5	გათბობის მილების ჩასმა იატაკში თანმდევი სამუშაოებით	გრმ	5.50	5.00	27.50	2.50	13.75	41.25
6	ლამინირებული იატაკის მოწყობა ა33 კლასის 12მმ სისქის პლინტუსების ჩათვლით	კვმ	26.40	24.00	633.60	6.25	165.00	798.60
7	როზეტის მოწყობა	ც	4.00	5.50	22.00	12.50	50.00	72.00
8	ჩამრთველის მოწყობა	ც	1.00	5.50	5.50	12.50	12.50	18.00
	მანდატურის ოთახის მოწყობა ფოიეში							
1	ალუმინის ვიტრაჟი-კარების მოწყობა, სარკმელით (სრული კომპლექტი ლითონის კონსტრუქციაზე) დიზაინი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	16.80	250.00	4200.00	6.25	105.00	4305.00
2	ალუმინის ჟალუზების მოწყობა	კვმ	16.80	35.00	588.00	6.25	105.00	693.00
3	როზეტის მოწყობა	ც	1.00	5.50	5.50	12.50	12.50	18.00
	სველი წერტილები							
1	შეკიდული ჭერის დემონტაჟი	კვმ	5.28			2.50	13.20	13.20
2	ამსტრონგის ნესტგამძლე ჭერის მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	5.28	12.00	63.36	6.25	33.00	96.36
3	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	2.00	70.00	140.00	15.00	30.00	170.00
4	თურქული ჯამის დემონტაჟი	კომპ	2.00			12.50	25.00	25.00
5	იატაკის დემონტაჟი (მათ შორის თურქული ჯამების საფეხურების)	კვმ	5.28			5.00	26.40	26.40
6	5სმ სისქის მჭიმის მოწყობა იატაკზე	კვმ	5.28	7.00	36.96	7.50	39.60	76.56
7	კედლების მოპირკეთება არსებულის მსგავსი მოჭიქული ფილებით	კვმ	6.36	32.00	203.52	12.50	79.50	283.02
8	იატაკზე მეტლახის მოწყობა	კვმ	5.28	25.00	132.00	12.50	66.00	198.00
9	უნიტაზის მოწყობა ჩამრეცხით სრული კომპლექტი	ც	2.00	150.00	300.00	62.50	125.00	425.00
	შშმპ სველი წერტილის მოწყობა							
1	კედლის ტიხრის დემონტაჟი	კბმ	2.30			34.64	79.67	79.67
2	იატაკის დემონტაჟი	კვმ	9.79			5.00	48.95	48.95

3	რადიატორის დემონტაჟი და შემდგომი მონტაჟი თანმდევი სამუშაოებით	ც	1.00			62.50	62.50	62.50
4	მდფ-ის კარების დემონტაჟი დასაწყობებით	კვმ	1.64			2.50	4.10	4.10
5	კარის ზღუდარების მოწყობა (არმატურა 18მმ ა)	კგ	6.34	2.3795	15.09	1.00	6.34	21.43
6	მდფ-ის კარების მოწყობა საკეტით, სრული კომპლექტი, ორმხრივი გაღებით (დიზაინი და ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	2.11	120.00	253.20	12.50	26.38	279.58
7	5სმ სისქის მჭიმის მოწყობა იატაკზე	კვმ	6.68	7.00	46.76	7.50	50.10	96.86
8	კედლის მოწყობა მცირე ზომის სამშენებლო ბლოკით	კბმ	1.66	90.00	149.40	50.00	83.00	232.40
9	კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვმ	6.23	5.00	31.15	8.75	54.51	85.66
10	კედლების მოპირკეთება მოჭიქული ფილებით	კვმ	27.94	25.00	698.50	12.50	349.25	1047.75
11	იატაკზე მეტლახის მოწყობა	კვმ	6.68	25.00	167.00	12.50	83.50	250.50
12	ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მოწყობა ჭერზე ლითონის კარკასზე	კვმ	6.68	12.00	80.16	6.25	41.75	121.91
13	შშმპ უნიტაზის მოწყობა ჩამრეცხით სრული კომპლექტი	ც	1.00	450.00	450.00	87.50	87.50	537.50
14	შშმპ ხელსაბანის მოწყობა შემრევი ონკანით, სრული კომპლექტი	ც	1.00	450.00	450.00	87.50	87.50	537.50
15	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	1.00	70.00	70.00	15.00	15.00	85.00
16	ჩამრთველის მოწყობა	ც	1.00	5.50	5.50	12.50	12.50	18.00
17	ელ.სადენის მოწყობა 3*2,5 სპილენძის ნალესში	გრძ	12	4.00	48.00	1.25	15.00	63.00
18	სქელკედლიანი პლასტმასის საკანალიზაციო მილები დ=100 მმ	გრძ	2.40	8.00	19.20	1.25	3.00	22.20
19	პლასტმასის საკანალიზაციო მილები დ=50 მმ	გრძ	2.80	3.00	8.40	1.25	3.50	11.90
20	პოლიეთილენის მილების მოწყობა დ=50 მმ-მდე	გრძ	8.20	5.00	41.00	1.25	10.25	51.25
21	ფასონური ნაწილების მოწყობა	ც	14.00	4.00	56.00	1.25	17.50	73.50
22	ვენტილების მოწყობა დ=50 მმ-მდე	ც	3.00	50.00	150.00	1.25	3.75	153.75
23	ტრაპი ნიკელის დ=50 მმ სიფონით	ც	1.00	10.00	10.00	37.50	37.50	47.50
24	150ვტ ვენტილიატორის მოწყობა თანმდევი სამუშაოებით	ც	1.00	250.00	250.00	62.50	62.50	312.50
25	ფანჯარაზე მუქი გაუმჭვირვალე სტიკერის მოწყობა	კვმ	2.20	20.00	44.00	5.00	11.00	55.00
26	არისტონის ტიპის 30ლ. წყლის გამაცხელებელი არსებულ ქსელებზე დაერთებით	ც	1.00	250.00	250.00	62.50	62.50	312.50
	ფოიეს მოწყობა							
1	ღიობის გაგანიერება	კბმ	0.09			75.00	6.75	6.75
2	კარის ბლოკის დემონტაჟი დასაწყობებით	კვმ	1.68			2.50	4.20	4.20
3	ღიობის მოჩარჩოება (კუთხოვანა 50-50-3მმ, ზოლოვან 50-3მმ)	კგ	107.70	2.70	290.79	1.25	134.63	425.42
4	ლითონის ელემენტების ღებვა ანტიკოროზიული საღებავით	კვმ	2.12	3.00	6.36	6.25	13.25	19.61
5	ფერდოების ლესვა , შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ	კვმ	5.60	9.40	52.64	12.50	70.00	122.64
6	კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვმ	6.23	5.00	31.15	8.75	54.51	85.66
7	კედლების მოპირკეთება არსებულის მსგავსი კერმოგრანიტის ფილებით	კვმ	1.22	32.00	39.04	12.50	15.25	54.29
8	იატაკზე არსებულის მსგავსი კერმოგრანიტის ფილების მოწყობა	კვმ	3.11	32.00	99.52	12.50	38.88	138.40

9	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	59.38	4.20	249.40	6.25	371.13	620.52
10	კედლებზე არსებულის მსგავსი ფრიზელინის გაკვრა	კვმ	8.23	10.00	82.30	6.25	51.44	133.74
11	ამსტრონგის ჭერის მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	51.60	12.00	619.20	6.25	322.50	941.70
12	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	8.00	70.00	560.00	15.00	120.00	680.00
13	მდფ-ის კარების მოწყობა საკეტით, სრული კომპლექტი (დიზაინი და ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	2.00	120.00	240.00	12.50	25.00	265.00
14	გათბობის მილების ჩასმა მდფ-ის ყუთში ფოიესა და სხდომათა დარბაზში თანმდევი სამუშაოებით	$მ^2$	6.10	25.00	152.50	12.50	76.25	228.75
15	ალუმინის კარის დემონტაჟი დასაწყობებით	კვმ	3.9			2.50	9.75	9.75
16	იზოალუმინის 9 სმ სამკამერიანი პროფილის კარების მოწყობა შშმპ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებით, სრული კომპლექტი, დიზაინი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	3.9	370	1443	6.25	24.375	1467.38
	კანცელარიის მოწყობა							
1	ამსტრონგის ნესტგამძლე ჭერის მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	12.74	12.00	152.88	6.25	79.63	232.51
2	ამსტრონგის 60*60 სმ ლედ სანათის მოწყობა 80ვტ	ც	2.00	70.00	140.00	15.00	30.00	170.00
3	გათბობის მილების ჩასმა მდფ-ის ყუთში თანმდევი სამუშაოებით	$მ^2$	0.52	25.00	13.00	12.50	6.50	19.50
4	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	36.20	4.20	152.04	6.25	226.25	378.29
	საბადრაგო ბლოკი							
1	რკინის კარებზე ლითონის 2 მმ ფურცლის მოწყობა მოძრავი სარკმელების გათვალისწინებით ანჯამები, საკეტი, (ვიზუალი იხილეთ თანდართულ ფაილებში)	კვმ	3.78	60.00	226.80	15.00	56.70	283.50
2	რკინის კარების დამუშავება და ღებვა ნიტრო საღებავით ორჯერ(ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	7.56	3.00	22.68	5.00	37.80	60.48
3	ანტივანდალური სანათების მონტაჟი, არანაკლებ 20 ვატი	ც	6.00	70.00	420.00	15.00	90.00	510.00
4	ელ.სადენის მოწყობა 3*2,5 სპილენძი, კაბელ არხში	გრძ	8	5.00	40.00	1.25	10.00	50.00
5	ჩამრთველის მოწყობა	ც	3	5.50	16.50	12.50	37.50	54.00
	იატაკზე ალუმინის გადამსვლელების მოწყობა	გრძ	3	3.00	9.00	1.25	3.75	12.75
	სახურავის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა	კვ.მ.	383.40	2.00	766.80	0.50	191.70	958.50
	ელექტროფარის მონტაჟი თანმდევი სამუშაოებით სრული შესაბამისი აქსესუარებით	ც	1.00	240.00	240.00	125.00	125.00	365.00
8	სამშენებლო ნაგვის ავტომანქანაზე დატვირთვა და გატანა	ტ	5.85			30.00	175.50	175.50
	ჯამი				22362.48		7871.75	30234.22
	სატრანსპორტო ხარჯები (არაუმეტეს 3%)	3%						670.87
	ჯამი							30905.10
	ზედნადები ხარჯები (არაუმეტეს 10%)	5%						1545.25

	ჯამი							32450.35
	გეგმიური მოგება (არაუმეტეს 8%)	4%						1298.01
	ჯამი							33748.37
	გაუთვალისწინებელი ხარჯები (დაუშვებელია შეცვლა)	5%						1687.42
	ჯამი							35435.79
	საპენსიო ფონდი (დაუშვებელია შეცვლა)	2%						157.43
	ჯამი							35593.22
	დღგ (დაუშვებელია შეცვლა)	18%						6406.78
	სულ ჯამი							42000.00

შპს „ტაინა“-ს დირექტორი: / ვ. გეთაშვილი /